




სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა

ელექტრონული მართლმსაჯულების
ქართული გამოცდილება



თორნიკე დარჯანია

სასამართლოს საქმისწარმოების
ელექტრონული სისტემა

(ელექტრონული მართლმსაჯულების ქართული
გამოცდილება)

თბილისი, 2015

წინამდებარე ნაშრომი გამოცემულია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით. Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) გერმანიის ფედერალური მთავრობის დავალებით მუშაობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი მხარს უჭერს გერმანიის ფედერალურ მთავრობას, განახორციელოს სხვადასხვა პროექტი საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით. 1993 წლიდან GIZ-ი ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მისი მიზანია სამართლებრივი სახელმწიფოს საკითხებზე ტრანსნაციონალური დიალოგის წარმართვა და კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფი სამართლებრივი სისტემის განმტკიცება. სხვა ღონისძიებებთან ერთად, ადგილობრივი და გერმანელი ექსპერტების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით ხორციელდება საკანონმდებლო კონსულტაციები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები და გამოცდილებების გაზიარება. გარდა ამისა, GIZ-ი ხელს უწყობს იურიდიული ლიტერატურის შექმნას და სამართლის პოპულარიზაციას.

GIZ-ის სამართლის პროგრამის პუბლიკაციების ელექტრონული ვერსიების ჩამოტვირთვა შესაძლებელია ვებ-გვერდიდან: <http://lawlibrary.info/ge/>

GIZ არ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე ნაშრომის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.



© თორნიკე დარჯანია, 2015

© GIZ, 2015

სარჩევი

I.	რატომ ელექტრონული წარმოება?	4
1.	ელექტრონული მართლმსაჯულება როგორც ელექტრონული მმართველობის ნაწილი	4
2.	ელექტრონული მართლმსაჯულების განვითარება საქართველოში	4
3.	კომპანიის შერჩევისას გასათვალისწინებელი ფაქტორები	8
4.	გამართლებულია თუ არა აუთოსორსინგი?.....	9
5.	გასათვალისწინებელი ფაქტორები	10
6.	ქალაქიდან ელექტრონულ დოკუმენტამდე.....	12
II.	პროგრამის ძირითადი ფუნქციონალი	15
1.	ელექტრონული პროცესები	15
2.	საქმის განაწილების ელექტრონული მოდული	21
3.	სტატისტიკის მოდული.....	23
III.	ინტეგრირებადი სერვისები.....	25
1.	ადვოკატების მოდული	26
2.	პროკურატურის მოდული	26
3.	სხვა ინტეგრირებადი ინსტიტუციები.....	27
IV.	სასამართლოს გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა ..	29
1.	შიდა გამჭვირვალობა.....	29
2.	დამტრიახული გადაწყვეტილებების მოძიება	30
3.	საქმის მასალების ელექტრონულად გაცნობა მომხმარებლის მართვის პანელის მეშვეობით	31
V.	სისტემის დანერგვა და მასთან დაკავშირებული სირთულეები.....	32
1.	სატესტო რეჟიმი.....	32
2.	თანამშრომლების გადამზადება	32

I. რატომ ელექტრონული წარმოება?

1. ელექტრონული მართლმსაჯულება როგორც ელექტრონული მმართველობის ნაწილი

ხშირად გვესმის ფრაზები: „21-ე საუკუნე წარმოუდგენელია თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე“, „ელექტრონული პროცესები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება გახდა“, „მაღე ყველაფერი ინტერნეტში იქნება შესაძლებელი - ვაჭრობა, საბანკო მომსახურება, მომსახურების სხვადასხვა სახის მიღება და ა.შ.“, თუმცა, დღესაც კი, ყველაზე თანამედროვე და ტექნოლოგიებთან დამეგობრებულ ადვოკატს რომ უთხრათ, რამდენიმე წლის შემდგომ დისტანციურად და ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ისე შეეძლება კლიენტის წარდგენა სასამართლოში, რომ არც კი მოუწევს იქ მისვლა, ალბათ, არ დაგიჯერებთ. არადა საქართველოს სასამართლოების ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა არ არის შორს ამ შესაძლებლობისაგან.

საქართველოში ელექტრონული სისტემების აქტიური განვითარება 2003 წლიდან დაიწყო. 2003 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდგომ რადიკალურად შეიცვალა მიდგომა ელექტრონულ სისტემათა მიმართ. სახელმწიფომ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა „ელექტრონული ხელისუფლების“ (ე.წ. E-Government)-ის იდეას და შედეგად სხვადასხვა ინსტიტუციაში (მაგ.: იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა, საჯარო რეესტრი, აღსრულების ეროვნული ბიურო, შემოსავლების სამსახური, და ა.შ.) დაინერგა საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამები.

ელექტრონული მართლმსაჯულების (E-Justice) შექმნაზე ფიქრი აქტიურ ფაზაში შევიდა ამ პერიოდიდან. ელექტრონული მართლმსაჯულება არის ელექტრონული მთავრობის¹ შემადგენელი ნაწილი. თუმცა ელექტრონული მართლმსაჯულება შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ელექტრონული მმართველობის ბირთვად, ვინაიდან მართლმსაჯულება (სასამართლო სისტემა როგორც მესამე ხელისუფლება) არის ხელისუფლების ის შტო, რომელიც ყველაზე მეტად არის გადაჯაჭვული ხელისუფლების სხვა დანარჩენ შტოებთან. თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულებას აქვს შეხება სასამართლო სისტემასთან სხვადასხვა კუთხით. შესაბამისად, შესაძლებელია, თამამად ითქვას, რომ გამართული ელექტრონული მართლმსაჯულების შექმნით ელექტრონული მთავრობის უმთავრესი ნაწილი შექმნილია.

2. ელექტრონული მართლმსაჯულების განვითარება საქართველოში

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემების შექმნა ძვირადღირებული პროექტია, რომელიც მოითხოვს არა მარტო უშუალოდ პროგრამისათვის ან ტექნიკური ბაზისათვის (მაგ.: სერვერები, კომპიუტერები და ა.შ.) მატერიალური

¹ „ელექტრონულ მთავრობაში“ არ იგულისხმება მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ელექტრონული სერვისები – ცნება მოიცავს ხელისუფლების ყველა შტოს ელექტრონულ სისტემებს.

რესურსის არსებობას, არამედ იმისათვის, რომ ორგანიზაცია ქალაქიდან გადავიდეს ელექტრონულ პროცესზე, აუცილებელია პერსონალის სრული გადამზადება (შედეგად ხდება ჩარევა ადამიანების სამუშაო პროცესში და მისი შეცვლა). ზემოაღნიშნული რესურსების გაღების გარდა, შექმნილი პროგრამა უნდა შემოწმდეს პრაქტიკული მუშაობის კუთხით (ე.წ. სატესტო რეჟიმი), რაც წარმოაჩენს მის ხარვეზებს და შემდგომ მოითხოვს ჩასწორებასა და გაუმჯობესებას. ამგვარად, საქმისწარმოების ელექტრონულ ფორმატზე გადასვლა მოითხოვს რესურსს და ამ რესურსის გაღება ნაკარნახევი უნდა იყოს პრაქტიკული აუცილებლობით - არ არის გამართლებული ელექტრონული სისტემების დანერგვა მაშინ, როდესაც მას ქალაქის პროცესებთან შედარებით უპირატესობის მოტანა არ შეუძლია, კერძოდ, არ ძალუძს უწყების საქმიანობის ხარისხის, სისწრაფის გაუმჯობესება.

სასამართლო სისტემაში ელექტრონული სისტემების დანერგვა ნაკარნახევი იყო გამართლებული პრაქტიკული საჭიროებით. ცნობილია, რომ სასამართლოს საქმიანობის 60-70% არის ტექნიკური სამუშაო (საქმეთა რეგისტრაცია, დოკუმენტბრუნვის ორგანიზება, სტატისტიკის შედგენა, შაბლონების შედგენა და ა.შ.), შესაბამისად, ელექტრონული წარმოების შექმნამდე სასამართლოს მუშაკების შრომითი რესურსებიც ამ მიმართულებით იხარჯებოდა. ამიტომ ყოველთვის არსებობდა სურვილი, ელექტრონული წარმოებით შემცირებულიყო ტექნიკური სამუშაოს მოცულობა და მთელი დატვირთვა გადატანილიყო საქმეთა (მათ შორის გადაწყვეტილებების) შინაარსობრივი ნაწილის გაუმჯობესებაზე. ამის გაკეთება კი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ელექტრონული სისტემის შექმნით.

სასამართლოს სისტემაში ელექტრონულად საქმისწარმოების იდეაზე მსჯელობა იწყება 2000 წლიდან. პირველი მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა, ვინაიდან საქმისწარმოების პროგრამების შექმნა დაიგეგმა მხოლოდ პროგრამისტების მიერ, მასში არ იყვნენ ჩართულები სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეები, ადმინისტრაციის მუშაკები და ა.შ.; პროექტის მარცხის მიზეზი იყო ასევე პროექტში მრავალი პირის ჩართულობა, გამოუცდელობა, სისტემასთან დაკავშირებით კონკრეტული წარმოდგენის არქონა და ა.შ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოხერხდა რაიმე კონკრეტული პროგრამის შექმნა და დანერგვა, სასამართლოში მუდმივად მიმდინარეობდა დისკუსია იმის შესახებ, რომ საჭირო იყო საქმეთა ელექტრონულად წარმოებაზე გადასვლა.

ელექტრონული წარმოების პრაქტიკული საჭიროების საილუსტრაციოდ მოვიშველიოთ შემდეგი მაგალითები:

ელექტრონული სისტემის შექმნამდე თუ გარე მომხმარებელს დასჭირდებოდა არქივში საქმის მოძებნა ნომრით - 2-15-2015, სასამართლოს არქივს მოუწევდა არნახული რესურსის დახარჯვა საქმის მოსაძიებლად, ვინაიდან საქმე მსგავსი ნომრით შესაძლოა ჰქონოდა საქართველოს ყველა სასამართლოს. ამასთანავე,

სასამართლოს თანამშრომელს მოუწევდა ჟურნალებში ნომრის მიხედვით ძიება, რაც მას უამრავ დროს წაართმევდა. გარდა ამისა, შესაძლოა ამ ნომრით ვერც ეპოვა არქივის თანამშრომელს საქმე, ვინაიდან ყოველწლიურად წინა წლიდან გადმოყოლილი საქმეები ხელახლა ინომრებოდა.

არსებობდა პრობლემები საქმეთა რეგისტრაციის ეტაპზეც: შეუძლებელი იყო იმის გარკვევა, თუ როდის შემოვიდა საქმე და როდის გატარდა (დარეგისტრირდა) ის თანამშრომლის მიერ. აქვე გასათვალისწინებელია ის ადამიანური ფაქტორი, რომ თანამშრომელს შეიძლებოდა დაეკარგა რომელიმე დოკუმენტი.

არ ხდებოდა დოკუმენტების სისტემატიზაცია და ერთგვაროვანი მეთოდით დალაგება. ყველა სასამართლოს (განსაკუთრებით რეგიონების სასამართლოებს) ჰქონდა ქალაქით საქმისწარმოების საკუთარი მეთოდი. რეგიონები მოწყვეტილი იყო ცენტრალურ სასამართლო სისტემას და შეუძლებელი იყო მათ მიერ გატარებულ და განხილულ საქმეებზე ინფორმაციის მოძიება. გარდა ამისა, ყველა სასამართლოში არსებობდა საქმეთა რეგისტრაციისა და მართვისათვის შექმნილი უამრავი ჟურნალი (მაგ.: პირველადი რეგისტრაციის ჟურნალი, ალფაბეტური ჟურნალი, ჟურნალი მოსამართლეების მიხედვით, უკან ჩაბარების ჟურნალი, უზრუნველყოფების ჟურნალი და ა.შ.). ერთი და იგივე საკითხი, ანუ მონაცემი შედიოდა სხვადასხვა ჟურნალში, რაც იწვევდა უამრავი დროის დახარჯვას და ქაოსს.

ეს პრობლემები დღეს რომ წარმოვიდგინოთ იმ ფონზე, როდესაც, მაგ., საქალაქო სასამართლოში ყოველთვიურად რამდენიმე ათასი საქმე შედის, მთლიან სასამართლო სისტემაში დაახლოებით 60 000-იდან 70 000-ამდე საქმე განიხილება ყოველწლიურად, ხოლო ამ რაოდენობაში არ ითვლება კორესპონდენცია, რომლის ოდენობა ყოველწლიურად დაახლოებით 350 000-იდან 400 000-ამდე მერყეობს, მიხედვით, რომ ელექტრონული სისტემის გარეშე დღეს სასამართლო სისტემა ვერ შეძლებდა ფუნქციონირებას. კერძოდ: საქმეთა მართვა, სტატისტიკის დამუშავება, საჯარო ინფორმაციის გაცემა, ანალიტიკა, საქმეების მოძიება, და ა.შ. - ეს ყველაფერი დღესდღეობით შეუძლებელია ელექტრონული სისტემის გარეშე.

ზემოაღნიშნული ტექნიკური პრობლემების გადაჭრის გარდა, ელექტრონული სისტემის უმთავრესი ამოცანა გახდა სასამართლოს გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ამ საკითხს დაწვრილებით ქვემოთ შევხებით (იხ. 29-ე გვერდიდან). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, სასამართლოს ელექტრონული სისტემის შექმნის ორგანიზატორებს თავდაპირველად არ უფიქრიათ, რომ პროგრამის შექმნა არა მხოლოდ სამუშაოს ტექნიკური კუთხით გამარტივებას გამოიწვევდა, არამედ ხელი შეეწყობოდა სასამართლოს გამჭვირვალობასა და დამოუკიდებლობას. ამ საკითხის ასეთი კუთხით დაყენება სარისკოც იქნებოდა, ვინაიდან ძნელად წარმოსადგენია, დაითანხმო ყველა მოსამართლე, რომ მათი ყველა გადაწყვეტილება ერთბაშად საჯარო გახდეს

საზოგადოებისთვის (სასამართლოს გამჭვირვალობა), ან დააჯერო სასამართლოს თავმჯდომარეები, რომ ისინი არ უნდა ერეოდნენ საქმის განაწილებაში და პროგრამა თავისით გადაანაწილებს საქმეებს მოსამართლეებზე (სასამართლოს დამოუკიდებლობა). რეკომენდებულია, რომ ტრანსფორმირებადი მართლმსაჯულების ქვეყნებში ელექტრონული სისტემების დანერგვა მოხდეს ეტაპობრივად, მოკლე ნაბიჯებით, თუმცა მიზანი, ტექნიკური სამუშაოს გამარტივებასთან ერთად, უნდა იყოს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უკეთესი ხარისხის მიღწევა.

2005-2006 წლებში აქტიურად განახლდა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის შექმნის პროცესი. ამ პერიოდში მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის: USAID, DPK (ამჟამად DPK Tetra Tech) და ა.შ., მხარს უჭერდა სასამართლო სისტემას მიზნის განხორციელებაში. პროგრამის შექმნის დაფინანსება ყველა ორგანიზაციას სარისკო საქმედ მიაჩნდა, ვინაიდან, არსებული გამოცდილებით, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მართლმსაჯულების ელექტრონული სისტემების შესაქმნელად დაახლოებით 5 მილიარდამდე დოლარი იხარჯება, თუმცა სისტემების უმრავლესობა არ მუშაობს, ან ვერ იწერება სასამართლოებში. აქედან გამომდინარე, დონორმა ორგანიზაციებმა თავი შეიკავეს რისკის გაწვევისაგან და არ დააფინანსეს ელექტრონული წარმოებისთვის პროგრამის შექმნა. პროგრამის შექმნა დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო ერთ-ერთმა დონორმა - DPK-მა დააფინანსა სასამართლო სისტემაში ბოლო მოდელის პერსონალური კომპიუტერების შექმნა, რამაც საშუალება მისცა საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, ბიუჯეტიდან გამოთავისუფლებული თანხით დაეფინანსებინა საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის შექმნის პროექტი. 2013 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ დაფინანსდა პროგრამის სააპელაციო და საკასაციო მოდულების შექმნა.

საქმის ელექტრონული წარმოების პროგრამის შექმნაზე მუშაობა დაიწყო 2007 წელს. მსჯელობა მიმდინარეობდა იმაზე, თუ რა ტიპის პროგრამა უნდა შექმნილიყო. შეიქმნა შიდა სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც იკრიბებოდნენ მოსამართლეები, თანამშრომლები, კანცელარიის თანამშრომლები და მსჯელობდნენ, თუ რა ფუნქციონალი უნდა ჰქონოდა პროგრამას. ეს პროცესი ძალიან რთული აღმოჩნდა, ვინაიდან, მაგ., კანცელარიის თანამშრომელს უჭირდა დარწმუნებულიყო, რომ აღარ დასჭირდებოდა ჟურნალები და მხოლოდ ერთი მონაცემი უნდა შეეყვანა ერთ ადგილას, რომელიც ავტომატურად გამოჩნდებოდა ყველგან, სადაც ეს საჭირო იქნებოდა; ასევე რთულად წარმოსადგენი იყო კანცელარიის თანამშრომლისთვის ის, რომ მას არ უნდა დაენომრა ან გადაენომრა საქმე, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებდა (როგორც ცნობილია, ყოველწლიურად წინა წლიდან შემორჩენილი საქმეები ხელახლა ინომრებოდა. მაგალითად, 2005 წელს გადაინომრა წინა წლიდან გადმოყოლილი დაახლოებით 12 000 საქმე); რთული იყო ასევე იმის გააზრება, რომ საქმე შემოსვლის შემდეგ მოსამართლეს

პირდაპირ დაეწერებოდა პროგრამის საშუალებით და არ იქნებოდა აუცილებელი კანცელარიის თანამშრომლის ჩარევა. სასამართლოს თანამშრომელთა წარმოდგენით, რეალურ „ქაღალდურ“ წარმოებასა და ელექტრონულ წარმოებას შორის იყო უფსკრული, რომელზე ფიქრიც აშინებდა სასამართლოს ყველა მოხელეს. მიუხედავად ამისა, კომისიამ მაინც ჩამოაყალიბა ის საერთო მიმართულებები, რომლებიც საფუძვლად დაედო პროგრამის შექმნას.

პირველ ეტაპზე დაიწყო კანცელარიისათვის პროგრამის შექმნა, რომელსაც უნდა უზრუნველყო კანცელარიის დონეზე საქმის პირველადი რეგისტრაციის პროცედურები (ე.წ. კანცელარიის ეტაპი).

3. კომპანიის შერჩევისას გასათვალისწინებელი ფაქტორები

ტენდერის გამოცხადებამდე მიმდინარეობდა კონსულტაცია დაახლოებით 4 კომპანიასთან, რომლებმაც წარმოადგინეს თავიანთი კონცეფციები, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა. 2007 წელს ღია ტენდერით პროგრამის შექმნის დავალება მიიღო კომპანია „დელტამ“.

კომპანიის შერჩევისას გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი: დამკვეთსა და კომპანიას შორის წარმოიშობა გრძელვადიანი თანამშრომლობის ურთიერთობა, სადაც კომპანიას მოეთხოვება მზადყოფნა, გაწიოს პროგრამის მხარდაჭერის უწყვეტი სერვისი და მზად იყოს, გამოასწოროს ნებისმიერი პროგრამული ხარვეზი; გასაკვირი არაა, რომ კომპანია ორიენტირებულია მოგებაზე და ცდილობს, შეასრულოს ტექნიკური დავალება, რომელსაც მას წარუდგენენ, თუმცა მსგავსი სისტემების შექმნისას, როდესაც იწერება ახალი პროგრამა, კომპანიასაც მოეთხოვება კლიენტის მოთხოვნების მიმართ ლოიალობა. კომპანია მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ შესაძლოა, თავდაპირველად დაგეგმილმა ფუნქციონალმა არ იმუშაოს, გადაკეთება გახდეს საჭირო და ამან გამოიწვიოს კომპანიისათვის დამატებითი სამუშაო რესურსის დახარჯვა. როგორც ვიცით, პროგრამის სატესტო რეჟიმი აჩენს პროგრამის პრაქტიკულ ხარვეზებს, რომლებიც შემდგომ გამოსწორებასა და გაუმჯობესებას მოითხოვს.

კომპანიის შერჩევისას მნიშვნელოვანია ასევე იმის გათვალისწინება, რომ მას ბაზარზე ეკავოს სტაბილური მდგომარეობა, რათა მან უზრუნველყოს გრძელვადიანი პროგრამული მხარდაჭერა. თანამედროვე სისტემები და პროგრამები არ იქმნება ცალკე, განყენებულად, რომელთა შექმნის შემდგომაც ის ინერგება და მასზე მუშაობა სრულდება. თანამედროვე სისტემები საჭიროებს მუდმივ განახლებას, ცვლილებებს უკეთესი დაცულობისათვის, სწრაფი მუშაობისათვის და მომხმარებლის ინტერფეისის დახვეწას; გასათვალისწინებელია თუნდაც ის, რომ შესაძლოა, საპროცესო კოდექსში შეტანილმა ცვლილებამ გამოიწვიოს პროგრამაში ძირეული ცვლილებების განხორციელება. მამასადაძმე, აუცილებელია, რომ კომპანიამ პროგრამის შექმნის შემდგომ უზრუნველყოს მისი პროგრამული გაუმჯობესების მხარდაჭერა.

გასათვალისწინებელია ასევე ის ფაქტორი, რომ თითქმის შეუძლებელია პროგრამული მხარდაჭერის სხვა კომპანიისათვის გადაცემა. კომპანია, რომელიც ქმნის მსგავს სისტემას, თავისდაუნებურად ხდება ამავე სისტემის სერვისის გაწევის მონოპოლისტი. სხვა კომპანიამ რომც მოინდომოს პროგრამის შემქმნელი კომპანიის ჩანაცვლება, მოუწევს უამრავი რესურსის დახარჯვა, რათა გაშიფროს პროგრამის არქიტექტურა და გამოყენებული კოდები. მას ეს უამრავი რესურსისა და დროის დახარჯვის სანაცვლოდ მოუწევს. შესაბამისად, სხვა კომპანიას სერვისის გაწევის ფასიც პროგრამის შემქმნელ კომპანიასთან შედარებით მაღალი გამოუვა.

ერთ კომპანიასა და მის სერვისზე ასეთი დამოკიდებულება სასამართლო ხელისუფლებისთვისაც არ არის კარგი. შესაბამისად, გამოსავალი აქედან არის ის, რომ სასურველია, სასამართლო ხელისუფლებას ჰქონდეს კარგი IT-სამსახური (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური), რომელიც დაკომპლექტებული იქნება ასევე კარგი პროგრამისტებით. აუცილებელია, რომ სასამართლოს პროგრამისტები ჩართულნი იყვნენ პროგრამის შექმნის პროცესში, რათა მათაც იცოდნენ პროგრამის არქიტექტურა და გამოყენებული კოდები. ეს შესაძლებლობას მისცემს სასამართლო ხელისუფლებას, საჭიროების შემთხვევაში თავისივე ძალებით შეიტანოს ცვლილებები პროგრამაში.

4. გამართლებულია თუ არა აუტოსორსინგი?

ზოგადად ისმის კითხვა, თუ რამდენადაა გამართლებული სასამართლოსთვის ელექტრონული წარმოების პროგრამის შესაქმნელად ე.წ. „აუტოსორსინგის“ გამოყენება. აუტოსორსინგში იგულისხმება სასამართლოს მიერ გარერესურსის გამოყენება პროგრამის შექმნისას. ცნობილია, რომ სხვა უწყებებს, მაგ.: იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურას და ა.შ., აქვთ საკუთარი IT-განყოფილებები, რომლებიც დაკომპლექტებულია პროგრამისტებით. ისინი თავად ქმნიან პროგრამებს და მათ მხარდაჭერასაც თავად ახორციელებენ. საქართველოს სასამართლოების დეპარტამენტს არ ჰქონდა ასეთი მძლავრი IT-სამსახური, რომელიც შეძლებდა ამ დონის პროგრამაზე მუშაობას და მისი სერვისის გაწევას. შესაბამისად, საქმეთა ელექტრონული წარმოების პროგრამის შექმნა გადაწყდა გარეკომპანიის დახმარებით, ე.წ. „აუტოსორსინგით“. აუტოსორსინგს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები: დადებითი მხარეა ის, რომ ორგანიზაციას არ უწევს საკუთარი IT-დეპარტამენტის შექმნა და მისი დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური კადრებით, რომელთა ანაზღაურებაც ხშირ შემთხვევაში შესაძლოა, მოსამართლის ანაზღაურებაზე მეტი იყოს. შესაბამისად, იგი ამ კუთხით ზოგავს რესურსს, და პროგრამის შექმნასა და მის სერვისს მიანდობს კომპანიას-გარერესურსს, რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებლობას იღებს მაღალკვალიფიციური სერვისის გაწევაზე; თუმცა აუტოსორსინგის უარყოფითი მხარე არის ის, რომ პროგრამის შექმნა კომპანიის მიერ შესაძლოა ძალიან ძვირი დაჯდეს. ზოგადად, მსგავსი სისტემებისა და პროგრამების შექმნა ძალიან დიდი თანხები

ჯდება. საქართველოს სასამართლოს დღეს მოქმედი პროგრამის შექმნისათვის მოუწია დაახლოებით 1,5 მილიონი ლარის გადახდა. ამ თანხაში არ შედის სასამართლოს მხრიდან დახარჯული ინტელექტუალური თუ მატერიალური რესურსი. რთულია იმის გაანგარიშება, თუ რა დაუჯდებოდა სასამართლო სისტემას პროგრამის შექმნა, თუ ის ამას საკუთარი რესურსით გააკეთებდა. აუტოსორსინგის უარყოფითი მხარე არის ასევე ისიც, რომ სასამართლო სისტემა დამოკიდებული ხდება ერთ კომპანიაზე, რომელსაც მონოპოლიური მდგომარეობა აქვს სერვისებთან მიმართებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუალედური გამოსავალი შესაძლოა იყოს კომპანიის სერვისთან ერთად არცთუ დიდი IT-დეპარტამენტის შექმნა, რომელსაც შეეძლება პროგრამის მცირემასშტაბიანი პრობლემების აღმოფხვრა. საკუთარი IT-დეპარტამენტის ქონა აუცილებელია იმ კუთხითაც, რომ მნიშვნელოვანია, სასამართლოს ჰქონდეს პროგრამის სრულად გაკონტროლების შესაძლებლობა. ე.წ. „მართვის პულტის“, „გასაღების“ საკითხი 2014 წელს გახდა განსაკუთრებული კამათის საგანი, როდესაც პირად მონაცემებზე კანონდარღვევით წვდომის ფაქტები ხდებოდა.

5. გასათვალისწინებელი ფაქტორები

საქმისწარმოების პროგრამის შექმნისას თავს იჩენს მრავალი გაუთვალისწინებელი ფაქტორი. მიზანშეწონილია გამოვყოთ შემდეგი ფაქტორები:

პროგრამის შექმნისას ძირითად სირთულეს ქმნის ის, რომ ერთმანეთთან ურთიერთობა უწევთ იურისტსა და პროგრამისტს, რომლებიც ორ სხვადასხვა ენაზე საუბრობენ. ნებისმიერ საშუალო, რიგით პროგრამისტს შეუძლია პროგრამული ოპერაციის დაწერა, თუ მას სწორად და დაწვრილებით მიაწვდიან ინფორმაციას ოპერაციის შესახებ. პროგრამისტისთვის რთული წარმოსადგენია მასშტაბი იმ პროცესებისა, რომლებიც მიმდინარეობს სასამართლოში. მისთვის გაუგებარია, რატომ უნდა შეიტანოს ერთი ინფორმაცია ერთ ადგილას, რომელიც შემდგომ სხვა ადგილას ხდება საჭირო, რატომ ხდება კანცელარიაში რეგისტრაცია, რა არის ხარვეზის ვადა, რატომ არის ამ თუ იმ მონაცემის შეტანა აუცილებელი სტატისტიკისათვის და ა.შ. ამ კავშირებისა და ბმების წარმოდგენა მისთვის შეუძლებელია და იგი ამ პროცესებს ვერ დაგეგმავს; იურისტს კი ამ დროს ევალეზა, პროგრამისტს ისე დეტალურად და დაწვრილებით აუხსნას პროცესი, რომ მან მაქსიმალურად უნაკლოდ ააგოს პროგრამის ჩონჩხი და განსაზღვროს პროცესები. შესაბამისად, მიზანშეწონილია, თუ მსგავსი პროგრამების შექმნის პროცესში ჩართულები იქნებიან იურისტები ტექნიკური განათლებით, ან პირიქით, პროგრამისტები, რომლებსაც შეუძლიათ, ადვილად გაიაზრონ იურიდიული (სასამართლო პროცესის) მოქმედებები. ბევრ ქვეყანაში მსგავსი ელექტრონული სისტემების შექმნის პროექტები სწორედ იმის გამო აღმოჩნდა წარუმატებელი, რომ პროგრამების დაწერა მხოლოდ პროგრამისტებს მიანდეს და მასში იურისტების თანამონაწილეობა ნაკლები იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აუცილებელია, საწყის ეტაპზევე სასამართლო მოხელეების (იურისტების) მიერ მაქსიმალურად ზუსტად გაიწეროს ის პროცესები, რომლებიც პროგრამისტების მიერ პროგრამულ ალგორითმებად უნდა იქცეს.

ზოგადი დადგენილი წესის მიხედვით, პირველ რიგში იწერება პროგრამის (ელექტრონული სისტემის) შექმნის კონცეფცია, იქმნება დოკუმენტი, რომელიც გადის ექსპერტიზას და ამის შემდგომ პროგრამისტები ტექნიკური დავალების საფუძველზე წერენ პროგრამას. თუმცა ეს დოკუმენტი რომ შეიქმნას, ამისათვის საჭიროა ზუსტი და დეტალური ცოდნა იმისა, თუ რა ამოცანებს ვუსახავთ მიზნად ელექტრონულ სისტემას. ასეთი ზუსტი და დეტალური ცოდნა 2007 წელს სასამართლო სისტემაში არავის ჰქონდა. გარდა ამისა, დოკუმენტის შექმნას ცალკე დრო და რესურსი სჭირდება, რომელთა გაღებაც ზედმეტ შრომად იქნა მიჩნეული. შესაბამისად, საქართველოში კონცეფციისა და პროგრამის წერა მიმდინარეობდა პარალელურად, რამაც კომპანიის დანახარჯი ერთი ორად გაზარდა. კომპანიას ხშირად უწევდა უკვე დაწერილი პროგრამული ალგორითმების გადაკეთება, ვინაიდან სასამართლოს მხრიდან ფუნქციონალთან დაკავშირებული მოთხოვნები იცვლებოდა.

კონცეფციის შესაქმნელად საჭირო დრო არის, ძირითადად, ის დამაბრკოლებელი გარემოება, რის გამოც ქვეყნების უმრავლესობა თავს იკავებს პროგრამის შექმნისაგან. გარდა ამისა, ხშირად თავს იკავებენ რისკის გაწვევისაგან, ვინაიდან პროექტზე მუშაობა მოითხოვს როგორც მატერიალურ, ასევე ადამიანურ მნიშვნელოვან რესურსს, საბოლოო წარმატებული შედეგი კი ყოველთვის არ არის გარანტირებული.

იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს წარმოდგენა პროგრამის თაობაზე და შეიქმნას კონცეფცია, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს სხვა ქვეყნების გამოცდილებები. სხვა ქვეყნებში უნდა ინახოს როგორც წარმატებული, ასევე წარუმატებელი პროექტები, გაანალიზდეს წარუმატებლობის მიზეზები და ამ ანალიზის საფუძველზე დაიწეროს კონცეფცია.

უნდა აღინიშნოს, რომ კონცეფციის დოკუმენტის (ან ე.წ. დეტალური ტექნიკური დავალების) შექმნის შემთხვევაშიც ვერ მოხერხდება სრულყოფილი პროგრამის შექმნა, ვინაიდან პრაქტიკაში პროგრამის მუშაობაში აღმოჩენილი ხარვეზების გამო მაინც საჭირო ხდება მისი მნიშვნელოვნად გადაკეთება. შეუძლებელია ყველა პრაქტიკული დეტალის კონცეფციაში წინასწარ გათვალისწინება. ერთი მონაცემის ცვლილება იწვევს პროგრამის მთლიან აგებულებაში ცვლილებას და მოითხოვს ხელახლა გადაწერას. მაგალითად, პროგრამაში უბრალო დილაკის ჩაშენება, რომელმაც საქმეში არასრულწლოვნის მონაწილეობა უნდა აღნიშნოს, მოითხოვს პროგრამის სხვა ნაწილებშიც ცვლილებების განხორციელებას (მაგ.: საძიებო სისტემებში, ჩამონათვალში, პირად ინფორმაციაში).

პროგრამის შექმნაზე მუშაობა დასრულდა 2010 წელს და სატესტო რეჟიმში ჩაეშვა 2011 წლიდან რუსთავის სასამართლოში. პროგრამა ეტაპობრივად დაინერგა პირველი ინსტანციის სასამართლოებში და დღეის მდგომარეობით მუშაობს 64 სასამართლოში (მათ შორის მაგისტრანტ მოსამართლეებთანაც). 2014 წლიდან პროგრამა ინერგება სააპელაციო სასამართლოსა და უზენაეს სასამართლოში. 2014 წელს შეიქმნა ე.წ. „ადვოკატების მოდული“, რომელიც უზრუნველყოფს სარჩელების დისტანციურად ელექტრონული წესით შემოტანას.

სასამართლო სისტემაში საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემასთან ერთად პარალელურად დაინერგა ოქმების ელექტრონულად ჩაწერის სისტემა, რომელმაც ჩაანაცვლა ქალაქის ოქმები და შესაძლებელი გახდა ოქმების ელექტრონული მატარებლებით შენახვა/გაცემა. ამ შემთხვევაში გამოყენებულ იქნა უკრაინული პროგრამა, რომელიც ძალიან ძვირადღირებული იყო. მაგ.: უზენაესი სასამართლოს ერთი დარბაზის აღჭურვა 10 000-იდან 12 000 დოლარამდე დაჯდა. დარბაზებში დამონტაჟდა მიკროფონები და ახალი კომპიუტერული სისტემები.

6. ქალაქიდან ელექტრონულ დოკუმენტამდე

საქმისწარმოების პროგრამის შექმნისას თავიდანვე მნიშვნელოვანი იყო კონცეპტუალური საკითხის გადაწყვეტა - რა დონეზე უნდა ჩაენაცვლებინა ელექტრონულ მატარებელს ქალაქი. დღესაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს ელექტრონულ დოკუმენტს სასამართლოში, ვინაიდან ბევრი მოსამართლე/თანაშემწე ვერ კითხულობს ელექტრონულ დოკუმენტს და ვერ მუშაობს „ელექტრონულ საქმეზე“, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმეში ბევრი ტომია.

შესაბამისად, გადაწყდა, რომ „ქალაქდურ“ დოკუმენტბრუნვაზე არ თქმულიყო უარი სასამართლოს მიერ, მეტიც, მხარეს უფლება აქვს, აირჩიოს, მისი საქმე იწარმოებს ელექტრონულად, თუ მას მხოლოდ „ქალაქდით ექნება ურთიერთობა“ სასამართლოსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე ქალაქდით აგზავნის ან შეაქვს სარჩელი, სასამართლო თვითონ უზრუნველყოფს მთლიანი მასალის დასკანერებას და მხარეებისათვის ხელმისაწვდომად გახდომას; ხოლო თუ მხარეს ელექტრონულად შეაქვს სარჩელი და მასალები შეიცავს დასკანერებულ მტკიცებულებებს, მაშინ სასამართლო წყვეტს, თუ რომელი მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს მხარემ წერილობითი სახით. პროცესზეც მხარეები ვალდებულნი არიან, ყველა მტკიცებულება ქალაქდის სახით ჰქონდეთ თან. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საბუთი დასჭირდება მოსამართლეს, იგი მას მიიღებს მხარისაგან ქალაქდის სახით და დაურთავს საქმეს.

ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, უახლოეს მომავალში შეუძლებელია სრულად ელექტრონულ წარმოებაზე გადასვლა. მხოლოდ შერეული სისტემის სტაბილურად მუშაობის შემდგომ იქნება შესაძლებელი ფიქრის დაწყება სრულად ელექტრონულ წარმოებაზე გადასასვლელად. ამისათვის მაქსიმალურად უნდა იქნეს მიღწეული ის, რომ გარემომხმარებელი ელექტრო-

ნულად ჩაერთოს პროცესებში, მეტად შეეჩვიოს ელექტრონულ წარმოებას. ამას გარდა, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დოკუმენტთა დაცულობისა და უსაფრთხოების ფაქტორი (მაგ., უნდა შეიქმნას მონაცემების სარეზერვო ცენტრი). დაუშვებელია, მოქალაქეს შეუზღუდოს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ქალაქით და მოეთხოვოს დოკუმენტის ელექტრონული სახით შემოტანა. ამით დაირღვეოდა კონსტიტუციით განმტკიცებული სასამართლოსადმი მიმართვის ფუნდამენტური უფლება. გასათვალისწინებელია ასევე ის ფაქტორი, რომ მოსახლეობის ჯერ კიდევ დიდმა ნაწილმა არ იცის კომპიუტერის გამოყენება, იმყოფება რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში და უჭირს ადვოკატის აყვანა.

იმისათვის, რომ განვითარდეს ელექტრონული წარმოება, სახელმწიფომ უნდა წახალისოს სხვადასხვა საშუალებით. მაგალითად, ელექტრონულად შეტანილი საქმისათვის შესაძლოა, დაწესდეს განხილვის მცირე ვადები, ამასთანავე, შესაძლოა, განისაზღვროს შედარებით მცირე ბაჟი საქმის ასეთი სახით შემოტანისათვის. ეს გამართლებულია იმით, რომ ელექტრონული წარმოებით ისევე როგორც მხარეებს, სასამართლოსაც ეზოგება რესურსი (ფურცელი, კარტრიჯი, ფოსტის ხარჯი, სატელეფონო ხარჯი და ა.შ.). ამასთანავე, ელექტრონულად საქმისწარმოებას ისედაც მცირე დრო სჭირდება, ვინაიდან ყველანაირი კორესპონდენცია ელექტრონულად მიმდინარეობს, რაც სასამართლოს და მხარეებს თავიდან აცილებს ფოსტის ხარჯებს და ჩაბარების გაწევილ პროცესს. მაგ., სამოქალაქო სამართლის პროცესში ყველაზე რთული საქმის ორგანიზებაა, ამას კი ელექტრონული წარმოება მნიშვნელოვნად ამარტივებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა მოხდეს ეტაპობრივად და არა ერთბაშად, ვინაიდან მომხმარებელიც და მოსამართლეც მომზადებული შეხვდეს ცვლილებას და ამან არ გამოიწვიოს უკუშედეგი.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ქალაქის ამოღება წარმოებიდან სრულიად შეუძლებელია. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც სამოქალაქო წარმოებაში მხარე აცხადებს, რომ ხელმოწერაა გაყალბებული, აუცილებელი ხდება, დოკუმენტი ინახოს დედანში (ქალაქში) და, საჭიროების შემთხვევაში, ჩაუტარდეს ექსპერტიზა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, მიუხედავად ელექტრონული ხელმოწერის შესახებ კანონის არსებობისა, მაინც ვერ დაინერგა ელექტრონული ხელმოწერა პრაქტიკაში ფართო მასშტაბით. შესაბამისად, უახლოეს მომავალში წარმოუდგენელია, ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევა სრულად ელექტრონულ ფორმატში განხორციელდეს.

დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, აქტუალურია სასამართლოს კანცელარიის ეტაპზე პროცესების სრულად ელექტრონულ ფორმატში გადატანა. განვიხილოთ მაგალითი: თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოველდღიურად სტუმრობს 7 000-იდან 12 000-ამდე პირი, იმის მიხედვით, თუ რამდენი პროცესია ჩანიშნული. ვიზიტორი პირების მიერ ხდება საქმეებთან დაკავშირებით ინფორმა-

ციის მოპოვება, კორესპონდენციის წარდგენა, კონსულტაციის მიღება და ა.შ. კანცელარიის თანამშრომლებისა და მოსამართლეთა თანაშემწეების რაოდენობა შეადგენს, ჯამში, დაახლოებით 200 ადამიანს. თუ დავუშვებთ თეორიულად, რომ თითო ვიზიტორი სასამართლოს თანამშრომელს 5 წუთით გაესაუბრება, ეს სრულად გამოიწვევს სასამართლოს სამუშაო პროცესის პარალიზებას. სასამართლო მოხელეები დაკავებულები იქნებიან მოქალაქეებისათვის ინფორმაციის მიწოდებით და მათ დრო აღარ დარჩებათ უშუალოდ საქმეზე სამუშაოდ, დოკუმენტების შესაქმნელად და ა.შ. თბილისის საქალაქო სასამართლო დღეს თითქმის ამ მდგომარეობაში იმყოფება. მოსამართლეებსა და მათ თანაშემწეებს უხდებათ სამუშაო პერიოდში მოქალაქეთა კორესპონდენციაზე მუშაობა და მხოლოდ სამუშაო დღის შემდგომ, გვიანობამდე, უწევთ, დაწერონ განჩინებები, გადაწყვეტილებები და ა.შ.

სასამართლოს ამ დატვირთვის თავიდან აცილება შესაძლებელია ელექტრონული სისტემით, თუ ჩვენ მხარეებს შევუქმნით შესაძლებლობას, ელექტრონულად მიიღონ ინფორმაცია დისტანციურად, სასამართლოში მოუსვლელად. ეს შესაძლებელია საიტზე - info.court.ge, სადაც მხარეებს მათთვის გადაცემული მომხმარებლის სახელითა და პაროლით შეუძლიათ, საქმესთან დაკავშირებული ყველა მასალა ელექტრონულად მიიღონ, ნაცვლად იმისა, რომ მივიდნენ სასამართლოში და მოსთხოვონ თანაშემწეს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების (მაგ.: განჩინებები, გადაწყვეტილებები და ა.შ.) ასლის გადაღება. ჩამოტვირთულ დოკუმენტს შესაძლოა დაერთოს შტრიხკოდი, რითაც წარდგენილი დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელი გახდება ყველა ორგანოში. მაშასადამე, დოკუმენტების ელექტრონული ჩაბარების სისტემა განტვირთავს სასამართლოს, ვინაიდან მხარეებს აღარ მოუწევთ სასამართლოში მისვლა დოკუმენტების მისაღებად.

ელექტრონული საშუალებების ზემოაღნიშნული ფორმებით წახალისება უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლების სამომავლო ინტერესებში. ამის დარეგულირება უნდა მოხდეს ნორმატიული აქტით, რომლის თანახმადაც ხელმოწერის გარეშე სისტემიდან ჩამოტვირთულ შტრიხკოდიან დოკუმენტს ნამდვილობის ძალა მიენიჭება სხვა უწყებების წინაშე (მსგავსი მეთოდი უკვე მოქმედებს უძრავი ნივთის საჯარო რეესტრის ამონაწერთან მიმართებით, რომელსაც ერთვის შტრიხკოდი და ამის შედეგად იძენს ნამდვილობას).

მსგავსი ნაბიჯები მიიყვანს საქართველოს სასამართლოებს ელექტრონული წარმოების სრულყოფამდე და პროცესების გამარტივებამდე. დღეს კი სასამართლო სისტემა იმყოფება საწყის ეტაპზე, სადაც ელექტრონული პროცესები ქალაქის პროცესების პარალელურად მიმდინარეობს.

II. პროგრამის ძირითადი ფუნქციონალი

1. ელექტრონული პროცესები

ელექტრონული პროგრამა მოიცავს სასამართლოში საქმისწარმოების ყველა ეტაპს, დაწყებული საქმის კანცელარიაში შეტანიდან მის დასრულებამდე ბოლო ინსტანციაში. ქვემოთ შევხებით მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს საქმის წარმოების პროგრამიდან, ვინაიდან მისი სრულად აღწერა ამ ნაშრომში შეუძლებელია.


დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, დამატებით გაეცნონ გამოყენების სახელმძღვანელოებს, რომლებსაც ჩამოტვირთავენ შემდეგ სათაურებზე დაჭერის შედეგად:

- [სისხლის; სამოქალაქო და ადმინისტრაციული ელექტრონული წარმოების მომხმარებლის ზოგადი სახელმძღვანელო.](#)
- [მომხმარებლის სახელმძღვანელო სააპელაციო სასამართლოში ელექტრონული საქმის წარმოებისთვის.](#)
- [მომხმარებლის სახელმძღვანელო საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოებისთვის](#)


პროგრამის გამოძახების შემდეგ გამოდის პირველადი ფანჯარა, სადაც ხდება მომხმარებლის მიერ იმ როლის ამორჩევა, რომლითაც მონაწილეობს სასამართლოში. ეს შესაძლოა იყოს: მოსამართლე, სხდომის მდივანი, თანაშემწე და ა.შ. ყველა მომხმარებელს სისტემაში მინიჭებული აქვს ის უფლებამოსილება, რასაც ის რეალურად ფლობს. მაგალითად, სხდომის მდივანს ვერ ექნება გადაწყვეტილების მიღების, დასრულებისა და გამოქვეყნების ფუნქცია, ვინაიდან ეს მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა.




შემოსული ფოსტის ჟურნალში ხდება ყველა სახის დოკუმენტის რეგისტრაცია. ქვემოთ ნაჩვენებია სამოქალაქო საქმეზე შეტანილი სარჩელის რეგისტრაციის შემთხვევა.




დოკუმენტის რეგისტრაციის ეტაპზე სასამართლოს მიერ მოქალაქეზე გაიცემა ცნობა, სადაც მოცემულია მოკლე ინფორმაცია და ასევე მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლის მეშვეობითაც მხარეებს სასამართლოს ვებგვერდზე (info.court.ge) ეძლევათ საშუალება თავის საქმესთან დაკავშირებით გაეცნონ ყველა სახის ინფორმაციას, საქმესთან დაკავშირებულ მასალებს, შეიტყონ ჩანიშნული სხდომების შესახებ და ა.შ.



პირველადი რეგისტრაციის შემდეგ ხდება საქმის დაგენერირება, რის შემდგომაც შემოტანილი დოკუმენტი (სარჩელი) იქცევა საქმედ და ენიჭება ნომერი, რომელიც არის უნიკალური. ეს ნომერი უნარჩუნდება საქმეს მის დასრულებამდე და ამავე ნომრით არის შესაძლებელი შემდგომ მისი მოძიება არქივში.



ეს ეტაპი იყოფა ორ ნაწილად: „ფიზიკურ“ და „იურიდიულ“ პირებად. ამ ეტაპზე ხდება ყველა იმ პირის დარეგისტრირება, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ კონკრეტულ საქმეში.



როდესაც კანცელარიის თანამშრომელი დაასრულებს ყველა იმ პროცედურას, რომლებიც უნდა გაიაროს დოკუმენტმა პირველადი რეგისტრაციიდან

განაწილებამდე (პირების დარეგისტრირება, დოკუმენტების დასკანერება, ატვირთვა და ა.შ.), შემდგომ ეს საქმე ხვდება თავმჯდომარის პანელში - გასანაწილებელ საქმეებში.

განაწილება მოსამართლეებზე ხდება ავტომატურად წინასწარ შექმნილი განრიგით (რიგითობის მიხედვით), თუმცა სასამართლოს თავმჯდომარეს მოსამართლის შეცვლის უფლება აქვს. (განაწილებასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. 21-ე გვერდიდან).

საქმის ნომერი	შეიქმნა	კატეგორია	დავის სახე	დოკუმენტის ტიპი	მოსამართლე	განაწილ...	შემოტა...	შემომტანი	გამომი...	პრიორი...
220100111016641	19.06.2011	სისხლი		სისხლის სამართლის ს...	შერამ გოგობენაძე	საქმის საქმე	19.06.2011	ტესტი		
220100111016640	19.06.2011	სისხლი	ნავსტიკული...	სისხლის სამართლის ს...	ზადრი ვაჭლასაძე	საქმის საქმე	19.06.2011	ტესტი	01223654	
220100111016639	19.06.2011	სისხლი		სისხლის სამართლის ს...	მარინე ცერცვაძე	საქმის საქმე	19.06.2011	ტესტი		
220100111016599	18.06.2011	სისხლი		სისხლის სამართლის ს...	ქეთევან გუგუაძე	საქმის საქმე	18.06.2011	თამაშა		
220100111016594	17.06.2011	სისხლი		სისხლის სამართლის ს...		საქმის საქმე	17.06.2011	ტესტი		
220100111016593	17.06.2011	სისხლი		სისხლის სამართლის ს...		საქმის საქმე	17.06.2011	ტესტი		
220100111016591	17.06.2011	სისხლი		სისხლის სამართლის ს...		საქმის საქმე	17.06.2011	ტესტი		
220100111016408	17.06.2011	სისხლი		სისხლის სამართლის ს...		საქმის საქმე	17.06.2011	ტესტი		
220100111016603	18.06.2011	სისხლი	ან ჩაიღწეა ვ...	სისხლის სამართლის ს...	მერაბ გოგობენაძე	საქმის საქმე	18.06.2011	თბილისის პროკურ...		
2201001110014244	01.12.2011	სისხლი	დანაშაულის...	სისხლის სამართლის ს...		საქმის საქმე	02.11.2010	პროკურატურა	123456789	
2201001110014241	01.12.2011	სისხლი	დანაშაულის...	სისხლის სამართლის ს...		საქმის საქმე	02.11.2010	პროკურატურა	123456789	
2201001110014155	01.12.2011	სისხლი	დანაშაულის...	სისხლის სამართლის ს...		საქმის საქმე	02.12.2010	პროკურატურა	123456789	
2201001110014148	01.12.2011	სისხლი	დანაშაულის...	სისხლის სამართლის ს...		საქმის საქმე	02.09.2010	პროკურატურა	123456789	
220100111045698	02.12.2011	სისხლი	თაღლითობა	სისხლის სამართლის ს...		საქმის საქმე	02.12.2011	სისხლი	123654789	
220290312046301	22.03.2012	სამოქალაქო		პროტესტი		საქმის საქმე	22.03.2012	სად		
220201612048305	25.07.2012	სამოქალაქო	სდფსდფ	განცხადება ღირსების ...		საქმის საქმე	25.07.2012	სდფსდფსდფ		
220210112048737	12.12.2012	სამოქალაქო	ჯგფსა	აღიარებითი სარჩელი	თამარ ნემსაძე	საქმის საქმე	12.12.2012	თავი		
220210112049163	26.10.2012	სამოქალაქო	ასდსდ	აღიარებითი სარჩელი		საქმის საქმე	25.10.2012	თავი		
220142112048539	29.08.2012	სისხლი	ჯგჯგჯგ	საჩივარი		საქმის საქმე	16.08.2012	სტატუსი		
220620112048442	02.08.2012	შეწარმის ...	ბებ	პროტესტის გამოცემის შ...		საქმის საქმე	02.08.2012	დადგ		
220620112048439	02.08.2012	ადმინისტრ...	ლჯლჯ	დროებითი განჩინების...		საქმის საქმე	02.08.2012	ნაწა		
220620112048405	31.07.2012	შეწარმის ...	დასდფ	პროტესტის გამოცემის შ...		საქმის საქმე	31.07.2012	დადგ		
220715012048249	20.07.2012	საკამოპოე...	ჯგფფფფფფფფ	საპატივითი საჩივარი		საქმის საქმე	20.07.2012	ფფფფფფ		
220100112048718	06.09.2012	სისხლი	ჭაჭაჭაჭაჭა	საპატივითი საჩივარი		საქმის საქმე	06.09.2012	თავი		

მას შემდეგ, რაც სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს განაწილებს, საქმე ხვდება მოსამართლის დავალებებში - „ახალი“. საქმის დათვალიერების შემდეგ მოსამართლე საქმეს უცვლის სტატუსს, გადადის „მიმდინარეში“ და ეს სტატუსი რჩება საქმეს დასრულებამდე.

საქმის ეტაპები:

- რეგისტრაცია
- სარჩელის დასაშვებობა
- ზარეზის დადგენა
- წარმოებაში მიღება
- სარჩელის უზრუნველყოფა
- საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის გ...
- დაუსრულებელი დაქვეყნების დადგენა
- საქმის მოხდადგენა
- საქმის განხილვა/დასრულება
- გასაჩივრება
- აქილა
- საქმის დასრულებული დავალები
- გაცემული დავალებები
- დადგენის კონტროლი
- სტატუსები
- მოსამართლის ცვლილების ისტორია

ფილტრები:

- მიმდინარე
- მიმდინარე მთელი
- მიმდინარე დავითი ხოცავილი


საქმის განხილვის ვადა: 1 დღე

საქმის განხილვის ვადა: 0 დღე


დოკუმენტის მიღების თარიღი: 21.11.2013

დოკუმენტის შაბლონი: საქმის წარმოების შეწყვეტა დაუშვებლობის გამო


მოსამართლის მიერ საქმის დათვალეირების შემდეგ ხდება ამ საქმეზე ხარვეზის დადგენა ან წარმოებაში მიღება. ამისათვის მოსამართლე ირჩევს შესაბამის ფანჯარას, ავსებს მისთვის საჭირო ველებს, ირჩევს დოკუმენტის შაბლონს (რომელიც წინასწარ არის პროგრამაში შექმნილი) და იწყებს ამ დოკუმენტზე მუშაობას.




მას შემდეგ, რაც საქმე მიიღება წარმოებაში (მაგ. აღმოიფხვრება ხარვეზი), ხდება სხდომის დანიშვნა. სხდომის დანიშვნის შემდეგ პროგრამა ავტომატურად აგენერირებს უწყებას, რასაც თანაშემწე ამობეჭდავს და უგზავნის მხარეებს.




სხდომის ჩატარების შემდეგ სხდომის მდივანი ქმნის სხდომის ოქმის დოკუმენტს. პროგრამაში ირჩევს შესაბამის ფანჯარას, ავსებს მისთვის საჭირო ველებს და ირჩევს შესაბამის დოკუმენტის შაბლონს.



მას შემდეგ, რაც მოსამართლე დაასრულებს კონკრეტულ საქმეზე მუშაობას, საქმეს ენიჭება სტატუსი „დასრულებული“ და ივსება დასრულების ფანჯარა. აქ შეყვანილი ყველა ინფორმაცია შემდგომში გამოიყენება საძიებო სისტემისათვის. სასამართლოს შიდა გაფართოებულ ძებნაში მოსამართლეს მთელი ქვეყნის მასშტაბით შეუძლია ყველა სასამართლოს საქმეთა მოძიება და მათი დათვალიერება.



მოსამართლე გადაწყვეტილების დასრულების შემდგომ შტრიხავს გადაწყვეტილებას. დასრულებული გადაწყვეტილება დაშტრიხული სახით ხელის მოწერის შემდეგ 24 საათში გადის ვებგვერდზე.



გარე მომხმარებლის მიერ დაშტრიხული გადაწყვეტილების მოძიებასთან დაკავშირებით იხილეთ 30-ე გვერდიდან.

2. საქმის განაწილების ელექტრონული მოდული

მოსამართლეებზე საქმეთა განაწილება არის სასამართლო სისტემის საკვანძო საკითხი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქმეთა განაწილების სწორი და სამართლიანი პოლიტიკა შეიძლება იყოს სასამართლოში გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი. გარდა იმისა, რომ საქმეთა სწორად განაწილება მნიშვნელოვანია მოსამართლეთა დატვირთულობის დაბალანსებისათვის, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასამართლო სისტემაში კორუფციის აღმოფხვრასა და სასამართლოს მიმართ ნდობის ჩამოყალიბებაში. კერძოდ, თუ მოსამართლემ არ იცის, რა პრინციპით ეწერება საქმე, მას არ ექნება ნდობა სასამართლოს აპარატისა და ხელმძღვანელობის მიმართ. ეს არის ეჭვის წარმოშობის საფუძველი - შესაძლოა, რომელიმე მოსამართლეს შერჩევით ეწერებოდეს რეზონანსული და გახმაურებული საქმეები, საქმეები, დიდი ოდენობით დავის ღირებულების, ან სადაც მხარე სახელმწიფო, ბანკები და ა.შ. ხოლო მეორე მოსამართლეს არა. გარდა ამისა, კორუფციის თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვანია სასამართლოში არსებობდეს საქმეთა განაწილების გამჭვირვალე სისტემა, რათა არ მოხდეს რომელიმე დაინტერესებულ მოსამართლეზე საქმის გადაცემა.

მოსამართლეებზე საქმის განაწილების გამჭვირვალობაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამას. პროგრამაში შესაძლებელია „ჩაშენდეს“ მრავალი სახის ალგორითმი, რომელთა

მიხედვითაც პროგრამა საქმეებს მოსამართლეებზე სხვადასხვაგვარი პრინციპით გადაანაწილებს: მაგ.: ალფაბეტური რიგითობის მიხედვით, დატვირთულობის მიხედვით, შემთხვევითობის პრინციპით და ა.შ. ამასთანავე, ეს პროცესი ყველა მოსამართლისათვის სრულიად გამჭვირვალეა, ვინაიდან ისინი თავიანთ მართვის პანელში ხედავენ მოსამართლეთა რიგითობას, დატვირთულობას და ა.შ.

საქართველოს ელექტრონულ საქმისწარმოების პროგრამაში გათვალისწინებულია საქმეთა განაწილება ალფაბეტური რიგითობის პრინციპით. კერძოდ, შექმნილია მოსამართლეთა სია, ხოლო პროგრამა შემოსულ და დარეგისტრირებულ საქმეებს ავტომატურად რიგითობის მიხედვით ანაწილებს მოსამართლეებზე. მიუხედავად ამისა, გადაანაწილებული საქმეები თავს იყრის სასამართლოს თავმჯდომარის პანელში, რომელიც ადასტურებს გადაანაწილებულ საქმეებს. თავმჯდომარესვე შეუძლია, რიგში მყოფ ერთ მოსამართლეს ჩამოაწეროს საქმე და გადააწეროს რიგით მომდევნო მოსამართლეს. შესაბამისად, ისმის კითხვა: რა საჭიროა თავმჯდომარის ჩარევა, თუ პროგრამას თვითონვე შეუძლია დააფიქსიროს რიგში მყოფი მოსამართლის სამუშაო ადგილზე არყოფნა (რომელიც შესაძლოა შვებულებაშია, ავადაა, ან მივლინებაშია) და საქმე ავტომატურად გადააწეროს, რიგის მიხედვით, მომდევნო მოსამართლეს? ეს დაშვება პროგრამულად სრულად შესაძლებელია, თუმცა ამგვარი გზით მივიღებდით მოსამართლეებზე საქმეების არათანაბარ გადაანაწილებას - მოსამართლე, რომელიც უფრო ხშირად გახდა ავად, ან უფრო ხშირად იმყოფება მივლინებაში სხვადასხვა მიზეზის გამო, განიხილავდა რაოდენობრივად ნაკლებ საქმეს; გარდა ამისა, განსაკუთრებულად რთული საქმეების (სადაც, მაგ., ბევრი მოწმეა დასაკითხი და ა.შ.) მქონე მოსამართლეები განსაკუთრებით გადაიტვირთებოდნენ.

როგორც ვხედავთ, საქმეთა რიგითობის მიხედვით გადაანაწილებას აქვს თავისი უარყოფითი მხარეები: პირველი, ის, რომ შესაძლებელია, სრულიად შემთხვევით განსაკუთრებით მძიმე საქმეებმა ერთ მოსამართლესთან მოიყაროს თავი და გამოიწვიოს მისი გადატვირთულობა; ამასთანავე, გარემომხმარებლისათვის თუ ცნობილია მოსამართლეთა რიგითობა, მართლმსაჯულება „გამოთვლადი“ ხდება. გამოთვლადობაში იგულისხმება ის, რომ გარემომხმარებელს შეუძლია, განსაზღვროს, თუ რომელ მოსამართლეს დაეწერება საქმე; ალფაბეტური რიგითობა კარგად მუშაობს ისეთ სასამართლოში, სადაც მოსამართლეთა საკმარისი ან უფრო მეტი რაოდენობაა; სასამართლოებში, სადაც მოსამართლეთა არასაკმარისი ან ზღვრული რაოდენობაა, ალფაბეტური რიგითობის პარალელურად თავმჯდომარეს უწევს ჩარევა დატვირთულობის სამართლიანად გადაანაწილებისთვის.

ამ პრობლემიდან გამოსავალი მხოლოდ საქმეთა სირთულის მიხედვით გადაანაწილებაა. მიუხედავად ამისა, მაინც რთული იქნება თავმჯდომარის ჩარევის გამორიცხვა საქმეთა განაწილების პროცესიდან. მაგ., ისეთ გაუთვალისწინებელ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველყოფის შესახებ განცხადება ერთ

მოსამართლეს დაეწერება, შესაძლებელია, ამავე საქმეზე შეტანილი სარჩელი რიგითობის გამო სრულიად სხვა მოსამართლესთან მოხვდეს; ასევე შესაძლოა, ხანდახან რომელიმე მოსამართლეს განსაკუთრებით რთული საქმე დაეწეროს, რის გამოც მან სხვა საქმეების განხილვა ვერ შეძლოს. რთულია, ასეთი იშვიათი შემთხვევები, პროგრამის მიხედვით, სრულად იქნეს გათვალისწინებული და სამართლიანად გადაწყვეტილი.

პროგრამაში დატვირთულობის მიხედვით საქმეთა განაწილების ალგორითმის „ჩაშენებას“ დამატებითი რესურსი სჭირდება და მომავლის პერსპექტივაა. ამ ეტაპზე სასამართლოში მოქმედი რიგითობის მიხედვით გადანაწილების პრინციპის დასახვეწად აუცილებელია, რომ პროგრამამ ავტომატურად ანაწილოს საქმეები მოსამართლეებზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს (ან კოლეგიის) თავმჯდომარე ჩაერევა საქმეთა გადანაწილების პროცესში და საჭიროდ ჩათვლის, რომ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი, რათა რომელიმე მოსამართლეს რიგის მიხედვით აღარ დაეწეროს საქმე და დაეწეროს მის შემდგომს, უნდა მოხდეს ამისი დასაბუთება და ეს გადაწყვეტილება და დასაბუთება ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვა დაინტერესებული მოსამართლეებისათვისაც. ამისათვის აუცილებელია ნორმატიული დოკუმენტის მიღება, რომელიც განსაზღვრავს იმ საფუძვლების ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც თავმჯდომარეს უფლება ექნება, საქმე დასაბუთებულად გადააწეროს რიგით მომდევნო მოსამართლეს.

მიზანშეწონილია, სასამართლო სისტემაში არსებობდეს მოსამართლეებისაგან შემდგარი მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც შეიმუშავებს საქმეების განაწილების პრინციპს და განიხილავს მასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს, ასევე მოსამართლეთა საჩივრებს ამ კუთხით.

3. სტატისტიკის მოდული

საქმეთა განაწილების მოდულთან შედარებით არანაკლებ მნიშვნელოვანია განვიხილოთ სასამართლოებში სტატისტიკის წარმოებისა და მისი ელექტრონულ წარმოებაში ჩართვის შესაძლებლობა. სასამართლოს ყველა მენეჯერისათვის ცნობილია, რომ სტატისტიკის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე სასამართლო სისტემის მართვა. იგი სასამართლო სისტემის მონიტორინგის შიდა და, ამასთანავე, გარეშეაჩივრება. სტატისტიკის მონაცემების მეშვეობით ხდება სასამართლოს საჭიროებების განსაზღვრა, მოსამართლეთა დატვირთულობის დადგენა (განსაკუთრებით დიდ სასამართლოებში, სადაც ბევრი მოსამართლეა), დარეგულირება იმისა, თუ სად არის მოსამართლის დამატება საჭირო და სად პირიქით, მოსამართლე ზედმეტია.

თითქმის ყველა ქვეყნის სასამართლო სისტემას აქვს სტატისტიკის გამოსათვლელი მექანიზმები შემუშავებული, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად დახვეწილი და კომპლექსური. ერთ-ერთი სამაგალითო სისტემაა გერმანიაში მოქმედი ე.წ.

„პეზის“ მოდელი, რომელიც მოსამართლეთა დატვირთულობას ითვლის დროის მიხედვით. შესაბამისად, გამოიყვანება დროის საშუალო მაჩვენებელი და მის საფუძველზე კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს მოსამართლის დატვირთულობის მაქსიმალურად ზედა ზღვარს. იმ შემთხვევაში, როდესაც სტატისტიკის მონაცემი აჩვენებს, რომ მოსამართლის ფაქტობრივი დატვირთულობა აღემატება დატვირთულობის კოეფიციენტის ზედა ზღვარს, მაშინ ცალსახაა, რომ მოსამართლე ან ზეგანაკვეთურად მუშაობს, ან საჭიროზე ნაკლებ დროს ახმარს საქმეთა განხილვას, რაც თავისთავად მოსამართლის გადაწყვეტილების ხარისხზე უარყოფითად ისახება. „პეზის“ სისტემის საფუძველზე ხდება გერმანიაში მოსამართლეთა დამატება სასამართლოში, ან სხვა სასამართლოში გადაყვანა დატვირთულობის დასაბალანსებლად.

სასამართლო სტატისტიკის მიხედვით ხდება ასევე მოსამართლეთა კატეგორიზაციის განსაზღვრა. მაგ., შესაძლოა, დროის გარკვეულ პერიოდში იკლოს სანივთოსამართლებრივმა დავებმა და მოიმატოს შრომით-სამართლებრივმა; შესაბამისად, აუცილებელი გახდეს, სანივთო სამართლის სპეციალიზაციის მქონე მოსამართლის გადაყვანა შრომითი დავების კატეგორიაში.

სტატისტიკის საშუალებით არის ასევე შესაძლებელი მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროების განსაზღვრა. მაგალითად, თუ სახეზეა, რომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებები საპატენტო სამართალში მეორე ინსტანციის მიერ მუდმივად უქმდება, ცხადია, პირველი ინსტანციის მოსამართლეებს სჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება საპატენტო სამართალში.

ერთი სიტყვით, სტატისტიკის წარმოების გარეშე შეუძლებელია სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირება და სასამართლო სისტემის მუშაობის მენეჯმენტი. გარემომხმარებლისათვის, საზოგადოებისათვის სტატისტიკური მონაცემები არის სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ან უნდობლობის ჩამოყალიბების განმსაზღვრელი. მაგ., შესაძლოა, რომელიმე გახმაურებულ საქმეზე თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების შესახებ სასამართლომ გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა და საზოგადოებაში ჩამოყალიბდეს შეხედულება, რომ სასამართლო მსგავს საქმეებზე ყველა შემთხვევაში წინასწარ პატიმრობას იყენებს, მაშინ, როდესაც შესაძლებელია, სტატისტიკური მონაცემი სულ სხვა რამეზე მეტყველებდეს. საზოგადოების ნდობა სასამართლოს მიმართ შეიძლება ასევე იმის შედეგად გაიზომოს, თუ რამდენად შემცირდა ზედა ინსტანციებში ქვედა ინსტანციების გადაწყვეტილებების გასაჩივრება და ა.შ.

სასამართლო სისტემის მუშაობის შესახებ ერთიანი წარმოდგენის შექმნა სტატისტიკის გარეშე შეუძლებელია. შესაძლოა, ცალკე აღებული რომელიმე მოსამართლე სწორად აყალიბებდეს სასამართლოს პრობლემებს და სახავდეს მათი გადაჭრის გზებს, თუმცა ეს პრობლემები მთლიანობაში სრულიად არ იყოს პრობლემა სტატისტიკის მიხედვით. სასამართლოს ყველა თანამშრომელი სისტემაში

არსებულ პრობლემებს ყოველთვის თავისი გადმოსახედიდან უყურებს და ვერ აზოგადებს, ვინაიდან მას აკლია სტატისტიკის მონაცემი. ერთიანი სურათის დანახვა სტატისტიკის გარეშე შეუძლებელია.

ამგვარად, სტატისტიკის გაანალიზებასა და გაცნობაში მიზანშეწონილია, რომ ჩართულნი იყვნენ მოსამართლეები. სტატისტიკის გაანალიზება არ უნდა იყოს მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარეთა პრეროგატივა. განვითარებასთან ერთად, სტატისტიკის ელექტრონული მოდული იძლევა შესაძლებლობას, რომ დამუშავდეს მრავალი სახის სტატისტიკური მონაცემი და გაკეთდეს მრავალი დასკვნა, რომლებიც არა მხოლოდ ზემოაღნიშნულ პრობლემებს მოაგვარებს, არამედ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ხარისხს გააუმჯობესებს.

დღესდღეობით საქართველოს სასამართლოების ელექტრონულ საქმისწარმოების პროგრამაში არ არის დანერგილი სტატისტიკის მოდული, რომელიც მონაცემებს ელექტრონულად დაამუშავებდა და შედეგებს გამოთვლიდა. სტატისტიკის მოდულის დასანერგად აუცილებელია, პირველ რიგში, პროგრამა დაინერგოს სასამართლოს ყველა ინსტანციაში და განისაზღვროს საბაზისო მონაცემები. საბაზისო მონაცემებში იგულისხმება ის მონაცემები, რომელთა საფუძველზეც პროგრამამ უნდა დაადგინოს სტატისტიკის ესა თუ ის მაჩვენებელი. პროგრამაში რაიმე მონაცემის ცვლილება გამოიწვევს მთლიანი სტატისტიკური მოდულის არევას. შესაბამისად, მონაცემები უნდა იყოს აბსოლუტურად განსაზღვრული, უნდა განისაზღვროს ინფორმაციისა და მონაცემის ზუსტი მარშრუტი. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია სტატისტიკის ფორმების შექმნა და განვითარება. იმისათვის, რომ მივიღოთ ე.წ. „ჭკვიანი სტატისტიკის მოდული“, შესაძლებელი უნდა იყოს სტატისტიკური მაჩვენებლების (ინტერესის შემთხვევაში) ინდივიდუალური გაანალიზება. მაგ., თუ ყაჩაღობის შემთხვევებზე სასამართლოს მიერ დაახლოებით 500 საქმეზე გამოყენებულია პატიმრობა, მხოლოდ ერთ საქმეზე კი გამოყენებულია გირაო, სტატისტიკის მოდული შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს, მოძიებულ და გაანალიზებულ იქნეს ის ერთი გადაწყვეტილება გირაოს დაკისრების თაობაზე.

III. ინტეგრირებადი სერვისები

საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამით შესაძლებელია სხვადასხვა საჯარო თუ კერძო ინსტიტუციის ჩართვა ელექტრონულ საქმისწარმოებაში. ინსტიტუციების ინტეგრაციით შესაძლებელი ხდება საქმეების განხილვის დაჩქარება, მონაცემების, კორესპონდენციის სწრაფი მიმოცვლა და ა.შ. განვიხილოთ რამდენიმე სერვისი, რომელთა ინტეგრირებაც უკვე მოხდა საქმისწარმოების პროგრამაში და რამდენიმე ისეთიც, რომელთა ინტეგრაციაც დაგეგმილია მომავალში.

1. ადვოკატების მოდული

ადვოკატების მოდული დაინერგა 2014 წელს და იგი შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს, სარჩელი და მასზე თანდართული მასალები დისტანციურად, სასამართლოში მიუსვლელად შეიტანოს. ეს სერვისი ფასიანია და ღირებულება ითვლება გაგზავნილი მასალის მოცულობის მიხედვით. სერვისი დიდ შეღავათს უწევს ორგანიზაციებს (მაგ.: ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და ა.შ.), რომელთაც მუდმივად უწყვეტ სასამართლოებში საქმისწარმოება.

მომხმარებელ ორგანიზაციას ენიჭებათ ე.წ. „მომხმარებლის სახელი“ და პაროლი,



რითაც შედის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში და ხედავს მის მიერ შეტანილ საქმეებზე ყველა სიახლეს (მაგ.: მეორე მხარის მიერ შეტანილ შესაგებელს და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, განჩინებებს, სხდომების განრიგს და

და ა.შ.)

სასამართლო	სხდომის ნომერი	დანიშნული თარიღი-აღივს	სხდომის მდებარეობა	დარბაზი	სხდომის ტიპი
საბურთალოს სასამართლო	220210013051444	6/19/2013 4:50:00 PM	კვირის ვარდამუილი		საქმის კონსულტი ვანდილა
საბურთალოს სასამართლო	220210013051444	6/19/2013 5:01:00 PM	თინათინ ხედავანი		წინა სასამართლო სხდომა
საბურთალოს სასამართლო	220210013051447	6/22/2013 5:08:00 PM	თინათინ ხედავანი	10	მოსამზადებელი
საბურთალოს სასამართლო	220210013051447	6/22/2013 5:08:00 PM	თინათინ ხედავანი	10	მოსამზადებელი
საბურთალოს სასამართლო	220210013051448	6/19/2013 5:17:00 PM	თამარ ნუსაძე	1	მთავარი
საბურთალოს სასამართლო	220210013051449	6/19/2013 5:20:00 PM	თავო აბესაძე	1	მოსამზადებელი

ადვოკატების მოდულის შექმნა არის სრულ ელექტრონულ წარმოებაზე გადასვლისკენ გადადგმული ნაბიჯი. იგი უზრუნველყოფს ასევე პროგრამის მუდმივი განახლებისა და სერვისების გაუმჯობესების ხელშეწყობას.

2. პროკურატურის მოდული

ელექტრონულ საქმისწარმოების პროგრამაში სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუციის ჩართვა (ინტეგრაცია) გაამარტივებს როგორც სასამართლოს, ასევე ამ ინსტიტუციების სამუშაოს. ერთ-ერთი ასეთია პროკურატურის ინტეგრაცია. 2013 წლამდე სისხლის სამართლის მოსამართლეები მუშაობდნენ პროკურატურის პროგრამაში (შესაბამისად, ყველა დოკუმენტი ინახებოდა პროკურატურის

სერვერზე), რაც აღქმულ იქნა სასამართლოს დამოუკიდებლობის საფრთხედ, რის გამოც 2013 წლიდან სასამართლო სისხლის სამართლის მიმართულებითაც საკუთარ პროგრამაში მუშაობს და დოკუმენტებს საკუთარ სერვერზე ინახავს. თუმცა ამან გამოიწვია ის, რომ პროკურატურას ელექტრონული წარმოების ნაცვლად დღეს ისევ უწევს ქალაქით კომუნიკაცია სასამართლოსთან. პროგრამაში ინტეგრაცია პროკურატურის ორგანოებისთვის დადებითი ეფექტის მომტანი იქნება, ვინაიდან ისინი შეძლებენ განზოგადებული სასამართლო პრაქტიკის მოძიებას, რაც გააუმჯობესებს პროკურატურის მუშაობის ხარისხსაც. პროკურატურის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას მხარე სრულად დაინახავს თავის პანელში, ეს კი თავისთავად ხელს შეუწყობს სასამართლოსადმი ნდობას.


3. სხვა ინტეგრირებადი ინსტიტუციები

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულების სისტემის ინტეგრაცია სასამართლოს ელექტრონულ საქმისწარმოების პროგრამაში. განვიხილოთ მაგალითი: დღეს არსებული მდგომარეობით, უამრავი რესურსი იხარჯება პატიმრების სასამართლო პროცესებზე მიყვანის ორგანიზაციისათვის. სხდომების ჩანიშვნისა და პატიმართა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა ხდება ქალაქის კორესპონდენციით, შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მოულოდნელად გადაიდო პროცესი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ტყუილად უწევს პატიმრის ტრანსპორტირება. ელექტრონულ პროგრამაში დეპარტამენტის ჩართვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა სხდომების ჩანიშვნისა და გადადების შეტყობინების მარტივი ლოჯისტიკა.

არანაკლებ საჭიროა უმრავი ქონებისა და სამეწარმეო რეესტრის ინტეგრაცია სასამართლოს ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემაში. ეს შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს, მაგალითად, უმრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ განჩინებები პირდაპირ ელექტრონულად გადააგზავნოს რეესტრში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტეგრაცია ელექტრონულ სისტემაში მნიშვნელოვნად გაამარტივებს დოკუმენტბრუნვას. თუ დღეს სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში პატრულს სამართალდამრღვევ პირთან ერთად მთელი დღის განმავლობაში უწევს სასამართლოს ეზოში მოცდა, ვინაიდან მან არ იცის, როდის ჩაინიშნება პროცესი, ელექტრონული სისტემით ეს ძალიან მარტივად დარეგულირდებოდა. ასევე მოხდებოდა ინფორმაციის მიმოცვლა მსჯავრდებული ან ადმინისტრაციულად სახდელდადებული პირების შესახებ და ა.შ..

შემდგომ გვერდზე მოცემულია სასამართლოს ელექტრონული საქმის წარმოების სისტემაში ჩართული მომხმარებლების სიტუაციური რუკა.



IV. სასამართლოს გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა

როგორც დასაწყისში აღინიშნა, ელექტრონული საქმისწარმოება ხელს უწყობს არა მხოლოდ სასამართლოს ტექნიკური სახის საქმიანობის შესრულების გამარტივებაში, არამედ იგი გახდა სასამართლოს გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობის გარანტი. გამჭვირვალე ელექტრონულ წარმოებაზე გადასვლას საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ე.წ. ასოცირების ხელშეკრულებაც ითვალისწინებს.

ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა გახდა სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელშეწყობი ფაქტორი და მომავალში იკისრებს დომინანტურ როლს საერთო გამჭვირვალე მართლმსაჯულების ჩამოყალიბებაში. ინტეგრირებადი სერვისები სასამართლოს ელექტრონულ წარმოებას გააძლიერებს და სხვა ინსტიტუციებს „აიძულებს“, თვითონაც გახდნენ გამჭვირვალენი და დამოუკიდებელნი სასამართლო ხელისუფლების მსგავსად.

სასამართლოს ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის მნიშვნელოვანი როლი გამოჩნდა 2012 წლის ბოლოს, როდესაც სასამართლო ხელისუფლებამ გადაწყვიტა, უარი ეთქვა პროკურატურის პროგრამაში მუშაობაზე, ვინაიდან ეს მიჩნეულ იქნა სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფად. მოსამართლის მიერ სხვა ინსტიტუციის (პროკურატურის) პროგრამაში მუშაობა და მის სერვერზე დოკუმენტების განთავსება შეიძლება შევადაროთ ამავე ინსტიტუციის შენობაში მუშაობას და მის არქივში დოკუმენტების შენახვას. ამ ყველაფერს დაერთო ისიც, რომ რამდენიმე მოსამართლეს გაუჩნდა დასაბუთებული ეჭვი, რომ დოკუმენტები გაქრა პროგრამიდან. ამგვარად, სასამართლოს სრული დამოუკიდებლობა გულისხმობს მის პროგრამულ დამოუკიდებლობასაც.

1. შიდა გამჭვირვალობა

ელექტრონული წარმოება ხელს უწყობს სასამართლო სისტემაში სრული შიდა გამჭვირვალობის ჩამოყალიბებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროგრამაში მომხმარებლები (მოსამართლეები, თანაშემწეები და ა.შ.) შედიან საკუთარი როლის მიხედვით. შესაბამისად, გამორიცხულია კომპეტენციების არევა. ის, რაც მოსამართლის პრეროგატივაა (მაგ.: გადაწყვეტილების გამოქვეყნება და ა.შ.), ვერ იქნება თანაშემწის და ეს არც გამოჩნდება თანაშემწის მართვის პანელში. შედეგად, მოსამართლე თავს გრძნობს დაცულად, ის არის პროცესის მთავარი მონაწილე და ამ მხრივ შეცდომა გამორიცხულია. ამას გარდა, მოსამართლეს აქვს შესაძლებლობა, სრულად აკონტროლოს თანაშემწისა და სხდომის მდივანის საქმიანობა. დოკუმენტაცია, რომელიც შემოდის საქმესთან დაკავშირებით, ჩანს როგორც თანაშემწის ან სხდომის მდივანის სამუშაო პანელში, ასევე მოსამართლეს აქვს შესაძლებლობა, საქმესთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი თანაშემწისგან დამოუკიდებლად თვითონვე მოიძიოს.

შიდა გამჭვირვალობის ხელშემწყობი უმთავრესი ფაქტორი არის ის, რომ მოსამართლეებს შეუძლიათ, მოიძიონ სხვა მოსამართლეთა საქმეები დათვალიერების რეჟიმში. მათ შეუძლიათ, გაეცნონ გადაწყვეტილებებს, გაიზიარონ სხვა მოსამართლის მსჯელობა მათთვის საინტერესო საკითხზე და გამოიყენონ საკუთარი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად. ამას ხელს უწყობს პროგრამაში „ჩამწებული“ გადაწყვეტილებებისა და საქმეთა ძეგლის მოდული, სადაც შესაძლებელია საქმეებისა და გადაწყვეტილებების მოძიება მუხლის, კატეგორიისა და ასევე სხვა პარამეტრების მიხედვით. შედეგად, შიდა სრული გამჭვირვალობა მოსამართლეს „აიძულებს“, აიძალოს კვალიფიკაცია მისთვის საჭირო საკითხთან დაკავშირებით და უკეთესად დაასაბუთოს გადაწყვეტილება.

გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს პროგრამის იმ თვისების შესახებ, რომ იგი ინახავს მომხმარებლების მიერ განხორციელებულ ყველა მოქმედებას (ე.წ. ლოგებს). ეს საშუალებას იძლევა, ნებისმიერ დროს მოძიებულ და იდენტიფიცირებულ იქნეს უკანონო ჩარევა მომხმარებლის მიერ.

2. დაშტრიხული გადაწყვეტილებების მოძიება

სასამართლოს გადაწყვეტილებების მოძიება შეუძლიათ ასევე გარემომხმარებლებსაც გადაწყვეტილებების საძიებო ბაზაში. თუმცა, შიდა საძიებო სისტემისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებები მოიძიება მხოლოდ დაშტრიხული სახით, სადაც შეუძლებელია მხარეთა იდენტიფიკაცია. საძიებო სისტემა შეიქმნა 2012 წელს და დაფინანსდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) მიერ.

ვებპორტალზე <http://info.court.ge/DecisionBarcodeDocs.aspx>

The screenshot shows a web browser window displaying a search interface. At the top, there is a navigation bar with the text 'გადანწყვეტილების ძეგლი' (Decision Registry) and the 'giz' logo. Below this is a search form with several input fields and dropdown menus. The fields include 'საქმის ნომერი' (Case Number), 'დოკუმენტის ტიპი' (Document Type), 'საქმის თარიღი' (Case Date), and 'გადაწყვეტილების თარიღი' (Decision Date). There are also buttons for 'ძიება' (Search) and 'გასუფთავება' (Clear). The interface is in Georgian and is designed for users to search for court decisions.

შესაძლებელია სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის გადაწყვეტილებების მოძიება სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით (კატეგორია, თარიღი, საქმის ნომერი და ა.შ.)


დაშტრიხული გადაწყვეტილებების საძიებო სისტემა ხელს უწყობს სასამართლოს გამჭვირვალობას და განამტკიცებს მოქალაქეთა და მომხმარებელთა ნდობას სასამართლო სისტემის მიმართ. დაშტრიხული გადაწყვეტილებები შესაძლებლობას აძლევს დავის მხარეებს, მოიძიონ მსგავსი გადაწყვეტილებები და უფრო მომზადებულად და არგუმენტირებულად წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები. დაშტრიხული გადაწყვეტილებები ხშირად გამოიყენება ასევე სასწავლო მიზნებისათვის, კომენტარების, სასწავლო წიგნების, სამეცნიერო სტატიების მომზადებისათვის და ა.შ. ეს კი ხელს უწყობს ზოგადად სამართლის განვითარებას.

გადაწყვეტილებაში არ იშტრიხება მოსამართლის სახელი და გვარი, შესაბამისად, ეს ფაქტორი „აიძულებს“ მოსამართლეს, უფრო მეტად იზრუნოს გადაწყვეტილების ხარისხზე, ვინაიდან მან იცის, რომ მისი გადაწყვეტილება საზოგადოების განსჯის საგანი შეიძლება გახდეს.

დღეს არსებული მდგომარეობით, გადაწყვეტილების დაშტრიხვის ბრძანება არ არის სავალდებულო მოსამართლეებისათვის (თუმცა შესაძლებელია დაშტრიხვის სავალდებულოდ გახდომა). მიუხედავად ამისა, მოსამართლეთა უმრავლესობა შტრიხავს გადაწყვეტილებებს და აქვეყნებს მათ საძიებო სისტემაში. მაგ., 2012 წლიდან დღემდე ბაზაში დაგროვებულია 13 000-ზე მეტი სამოქალაქო კოლეგიის გადაწყვეტილება.

3. საქმის მასალების ელექტრონულად გაცნობა მომხმარებლის მართვის პანელის მეშვეობით

მხარეს სასამართლოში დოკუმენტის რეგისტრაციის დროს ეძლევა ცნობა, სადაც მოცემულია მისი სახელი და პაროლი. იმისათვის, რომ დაათვალიეროს საქმე, საჭიროა, მომხმარებელი შევიდეს სასამართლოს web-გვერდზე, შეიყვანოს სასამართლოში მიღებული სახელი და პაროლი, რის შემდეგაც გაეხსნება გვერდი საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციით.



მომხმარებლის მართვის პანელი ხელს უწყობს სასამართლო სისტემის გამჭვირვალობას. კერძოდ, პანელში ჩანს ყველა საპროცესო მოქმედება, რომელსაც ასრულებს სასამართლო. აქვე იტვირთება ყველა დოკუმენტი, რომელსაც მოწინააღმდეგე მხარე წარადგენს სასამართლოში. შესაბამისად, მხარე სრულად ადევნებს თვალს საქმის მიმდინარეობას.

V. სისტემის დანერგვა და მასთან დაკავშირებული სირთულეები

1. სატესტო რეჟიმი

პროგრამის შექმნაზე არანაკლებად რთულია მისი დანერგვა სასამართლოში. შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შექმნის პროცესში ყველაზე რთული პერიოდი არის პროგრამის სატესტო რეჟიმი, ვინაიდან ამ დროს ჩნდება ის, თუ რამდენად შეუძლია პროგრამას პრაქტიკაში ფუნქციონირება. მსოფლიოს სხვა ქვეყნებში სწორედ სატესტო რეჟიმი ვერ „გადალახა“ მრავალმა პროგრამამ და ამის გამო ფუჭი აღმოჩნდა მის შექმნაზე დახარჯული თანხა.

სატესტო რეჟიმის პერიოდში მომხმარებელმა უნდა „მოირგოს“ პროგრამა, შესაბამისად, ეს პროცესი ძალიან საფრთხილოა. პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა კარგად უნდა აწონ-დაწონოს მომხმარებლის მიერ წამოყენებული მოთხოვნები. შესაძლოა, მომხმარებლის ერთმა სურვილმა რომელიღაც ბრძანების ფანჯარაში დამატებითი ღილაკის „ჩაშენების“ თაობაზე სრულად არიოს პროგრამის მუშაობა. დამატებითი ფუნქციების ჩამატება ან არსებულის გაუქმება მოითხოვს გაანალიზებას, თუ სად იწვევს ასეთი ჩარევა ცვლილებას. შესაბამისად, ამ ეტაპზე ყველაზე რთული სწორედ მომხმარებლის მოთხოვნების სწორი ანალიზია. ამ დროს ხდება მოთხოვნების კატეგორიზაცია მათი პრიორიტეტების მიხედვით. პროგრამას უნდა ჰქონდეს ზუსტად იმდენი ბრძანების ღილაკი, რაც საჭიროა მისი ფუნქციონალის შესასრულებლად. ყოველგვარი ზედმეტი დაუსაბუთებელი მოთხოვნა ართულებს პროგრამას, ზრდის შექმნის რესურსს და ჯდება დამატებითი დრო.

2. თანამშრომლების გადამზადება

სატესტო რეჟიმთან ერთად პარალელურად მიმდინარეობს თანამშრომლების გადამზადება, რაც ასევე ერთ-ერთი რთული ეტაპია პროგრამის დანერგვისას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მომხმარებლის სახელმძღვანელო (ე.წ. მანუალი), ხშირ შემთხვევაში, აუცილებელია ცალკეული მოსამართლეების, თანამშემწეების, სხდომის მდივნების ჯგუფების ტრენინგი. საწყის ეტაპზე მრავალი მოსამართლე თუ თანამშემწე წააწყდა სირთულეს პროგრამის გამოყენებისას. შესაბამისად, სასამართლო სისტემაში არსებობს პროგრამის მხარდამჭერთა ჯგუფი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციას უწევს მომხმარებელს.

უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელს ყოველთვის აქვს სიახლის შიში. მისთვის დისკომფორტია მუშაობის ახალ სტილზე გადასვლა. ეს პროცესი ყველა სიახლის დანერგვას ახლავს თან და არ არის გასაკვირი. გამოსავალი მხოლოდ მომხმარებლის დარწმუნებაა, რომ პროგრამა მისთვის და სასამართლო სისტემისთვის დადებითი შედეგის მომტანია. 90-იანი წლების ბოლოს, როდესაც კომპიუტერები იქნა შეძენილი სასამართლოსთვის, მოსამართლეებმა გააპროტესტეს საბეჭდი მანქანიდან კომპიუტერზე გადასვლა და მაინც მბეჭდავებს აძლევდნენ ხელით დაწერილ ტექსტს. ხოლო როდესაც სასამართლოში გააუქმეს მბეჭდავების შტატი, ბევრი მოსამართლე საკუთარი ხელფასიდან უხდიდა მბეჭდავს ფულს, რათა აეკრიფა გადაწყვეტილების ტექსტი. დღევანდელი გადმოსახედიდან ეს ფაქტი ღიმილის მომგვრელია, ვინაიდან რთულად წარმოგვიდგენია დღეს გადაწყვეტილებების საბეჭდი მანქანით წერა, კომპიუტერის გარეშე. სიახლის შიში მოქმედებდა და ნაწილობრივ მოქმედებს სასამართლოს ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის დანერგვის შემთხვევაშიც. ეს ბუნებრივია, თუმცა დღეს სასამართლო სისტემაში ყველას ნათლად აქვს გააზრებული ელექტრონული წარმოების საჭიროების შესახებ, იმ დადებითი შედეგის შესახებ, რისი მოტანაც შეუძლია მას სასამართლო სისტემისათვის.